

2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

შპს „მეორე სავაჭრო ცენტრი“

შინაარსი:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
3. ძირითადი საშუალებები
4. არამატერიალური აქტივები
5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
6. საკუთარი კაპიტალი
7. მიღებული სესხები
8. სხვა საოპერაციო შემოსავლები
9. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები
10. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან
11. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი'000	note	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	1,380	802	234
არამატერიალური აქტივები	4	2	3	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,382	805	234
მარაგები		915	760	539
გაცემული ავანსები		150	20	10
საგადასახადო აქტივი		8	5	-
დებიტორული დავალიანება		41	19	28
ფული და ფულის ექვივალენტები	5	682	630	293
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,796	1,434	870
სულ აქტივები		3,178	2,239	1,104
კაპიტალი	6			
საწესდებო კაპიტალი		2	2	2
გაუნაწილებელი მოგება		1,441	1,000	478
სულ კაპიტალი		1,443	1,002	480
გრძელვადიანი სესხები	7	940	584	151
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		940	584	151
მოკლევადიანი სესხები	7	182	157	94
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები		613	496	346
საგადასახადო ვალდებულებები				33
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		795	653	473
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,178	2,239	1,104

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს “მეორე სავაჭრო ცენტრი“ სახელით 2020 წლის 21 სექტემბერს.

შპს “მეორე სავაჭრო ცენტრის” დირექტორი თამარ გრიჭიშვილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი'000	note	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	1,380	802	234
არამატერიალური აქტივები	4	2	3	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>1,382</u>	<u>805</u>	<u>234</u>
მარაგები		915	760	539
გაცემული ავანსები		150	20	10
საგადასახადო აქტივი		8	5	-
დებიტორული დავალიანება		41	19	28
ფული და ფულის ექვივალენტები	5	682	630	293
სულ მოკლევადიანი აქტივები		<u>1,796</u>	<u>1,434</u>	<u>870</u>
სულ აქტივები		<u>3,178</u>	<u>2,239</u>	<u>1,104</u>
კაპიტალი	6			
საწესდებო კაპიტალი		2	2	2
გაუნაწილებელი მოგება		1,441	1,000	478
სულ კაპიტალი		<u>1,443</u>	<u>1,002</u>	<u>480</u>
გრძელვადიანი სესხები	7	940	584	151
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>940</u>	<u>584</u>	<u>151</u>
მოკლევადიანი სესხები	7	182	157	94
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები		613	496	346
საგადასახადო ვალდებულებები				33
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>795</u>	<u>653</u>	<u>473</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3,178</u>	<u>2,239</u>	<u>1,104</u>

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "მეორე სავაჭრო ცენტრი" სახელით 2020 წლის 21 სექტემბერს.

.....

შპს "მეორე სავაჭრო ცენტრი" დირექტორი და მატერიალური პასუხისმგებელი

თანდართული შენიშვნები არმოადგენს წინააღმდეგობას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი '000	შენიშვნა	2018	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან		9,526	8,538
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	122	97
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(8,821)	(7,887)
საერთო მოგება		827	748
სხვა საოპერაციო ხარჯები			
ხელფასის ხარჯი		(94)	(28)
იჯარა		(15)	(20)
ადმინისტრაციული ხარჯი		(87)	(73)
ცვეთის ხარჯი		(49)	(24)
სხვა ხარჯი		(12)	(5)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		(257)	(150)
არასაოპერაციო შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		28	24
სულ არასაოპერაციო შემოსავალი		28	24
არასაოპერაციო ხარჯი			
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(65)	(49)
სხვა არასაოპერაციო ზარალი		(15)	(3)
საპროცენტო ხარჯი		(77)	(48)
სულ არასაოპერაციო ხარჯი		(157)	(100)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		441	522

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2018	2	478	480
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	522	522
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	2	1,000	1,002
ბალანსი 1 იანვარი 2019	2	1,000	1,002
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	441	441
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	2	1,441	1,443

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

(თანხა მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი '000

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავალი ნავაჭრი ამონაგებიდან	11,322	10,167
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(10,746)	(9,526)
ადმინისტრაციული ხარჯები	(111)	(101)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან პროცენტებამდე და მოგების გადასახდამდე	465	540
გადახდილი პროცენტები	(61)	(48)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	404	492
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შვილობილი კომპანიის შეძენა	(323)	
ძირითადი საშუალებების შეძენა/რეაბილიტაცია	(300)	(592)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(623)	-592
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	515	581
სესხის დაფარვა	(242)	(159)
ნეტო ფული გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	273	422
ფულადი ნაკადების ნეტო ზრდა/(შემცირება)	54	322
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში	630	293
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(2)	15
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	682	630

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „შპს მეორე სავაჭრო ცენტრი“ (შემდგომში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ს/ნ 200114866).

კომპანიის იურიდიული მისამართია - თბილისი, გლდანის რაიონში, გლდანის VII და VIII მ/რ შორის, მდებარე სავაჭრო ცენტრი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა საქონლის საცალო ვაჭრობა. კომპანია დამატებით ახორციელებს საგადახდო სისტემის პროვაიდერის აგენტის საქმიანობას.

კომპანია დაფუძნდა 2004 წლის 15 ოქტომბერს და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% მესაკუთრე იყო თამარ კინწურაშვილი, ხოლო ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისათვის კომპანიის 100% წილის მფლობელი არის გოჩა ცაგარელი. ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის კომპანიას მართავს დირექტორი თამარ გრიქუროვი საქართველოს მოქალაქე.

2019 წელს კომპანიამ შეიძინა შპს „რევანში“-ს (ს/ნ 209452028) 100% წილი.

შემდგომში «კომპანია» და მისი შვილობილი ერთობლივად მოხსენიებულ იქნება როგორც „ჯგუფი“.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არიან ჯგუფის მიერ კონტროლირებადი სტრუქტურული ერთეულები. ჯგუფს შეუძლია მართოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, რათა სარგებელი მიიღოს მისი ფუნქციონირების შედეგად და რომელშიც, როგორც წესი, ფლობს ხმის უფლების ნახევარზე მეტს.

ჯგუფს აქვს უფლება დანიშნოს და გაანთავისუფლოს დირექტორები, ასევე განახორციელოს რელევანტური ფინანსური ოპერაციებისა და საოპერაციო აქტივობების მართვა, ვინაიდან, როგორც კომპანიის მენეჯმენტის წარმომადგენელი, სარგებლობს დირექტორის უფლებამოსილებით. აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ჯგუფი ეფექტურად მართავს დაქვემდებარებულ საწარმოებს და აქვს მნიშვნელოვანი კონტროლი მათზე, რის გამოც ჯგუფმა სრულად მოახდინა ასეთი საწარმოების კონსოლიდირება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც მათზე კონტროლი ჯგუფს გადაეცა და დეკონსოლიდირებულია მას შემდეგ, რაც წყდება კონტროლი. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია შეიცვალოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ჯგუფის მიერ მიღებული ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის დაცვა. შვილობილ კომპანიაში არაკონტროლირებადი წილის ზარალი მიკუთვნებულია არაკონტროლირებად წილზე იმის მიუხედავად, იწვევს თუ არა აღნიშნული არაკონტროლირებადი წილის უარყოფით ბალანსის წარმოქმნას.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, თავდაპირველად აღრიცხება შესყიდვის დღისათვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის

წილის მოცულობის მიუხედავად. ის ნამეტი თანხა, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების (პირობითი ვალდებულებების ჩათვლით) სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (მოგება ან ზარალში).

კომპანიათშორისი ოპერაციები, ტრანზაქციები, ნაშთები და სათავოსა და მის შვილობილ კომპანიებს (რომლებიც ურთიერთდამოკიდებულ მხარეებს წარმოადგენენ) შორის ოპერაციების შედეგად არსებული არარეალიზებული მოგება სრულად გაუქმებას ექვემდებარება. ჯგუფის შიდა ზარალი ასევე გაუქმებას ექვემდებარება, თუმცა ეს შეიძლება მიანიშნებდეს გარკვეულ გაუარესებაზე, რაც უნდა აისახოს (აღიარდეს) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისათვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ წილს შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებადი ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაში შესყიდვის დღისათვის, რასაც ემატება მათი წილი კაპიტალის ცვლილებაში შესყიდვის დღის შემდეგ უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში. ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე, არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“GEL”).

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

2019 წლის 31 დეკემბერს, უცხო ვალუტის ნაშთების ლარში გადაყვანის მიზნით გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

31/12/2018 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი.

31/12/2018 1 ევრო = 3.0701ლარი.

31/12/2019 1 აშშ დოლარი=2.8677ლარი.

31/12/2019 1 ევრო= 3.2095 ლარი.

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან უფრო ნაკლებს შეადგენს. საბანკო ოვერდრაფტები ასახულია სესხების ნაწილში, მიმდინარე ვალდებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის მიერ რეალიზაციის ოპერაციები ძირითადად ხორციელდება შემუშავებული ჩვეულებრივი პირობებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმ ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ამ თანხების ამოღებადობის შესაძლებლობა. თუკი არსებობს მსგავსი სახის მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს. სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება შემდეგი პრინციპით: ისტორიულ ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- | | |
|----------------------------|------------|
| - შენობა-ნაგებობები | 25-50 წელი |
| - მოწყობილობა-დანადგარები | 10-15 წელი |
| - სატრანსპორტო საშუალებები | 5-15 წელი |

-
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 3-10 წელი
 - ავეჯი 5-15 წელი
 - სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (*მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა*) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შეადგენს 3-10 წელს.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუკი არსებობს ასეთი ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (*დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის*) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის ხდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ტესტირება გაუფასურებაზე, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (*ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის*) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ გაუფასურებულია, სმფ-ს საბალანსო ღირებულება მცირდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი კი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (*ან მსგავსი აქტივების ჯგუფის*) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (*სმფ-ს შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის*) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (*კომპენსირების*) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს და არ ითვალისწინებს რაიმე პროცენტებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში (*საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით*). ასეთი საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შედეგი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (*ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით*). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (*ჩვეულებრივ*) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელების ასახვა ხდება მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება საქონლის რეალიზაციიდან (*მომსახურების გაწევიდან*) ხდება როცა მყიდველს მიეწოდება საქონელი (*მომსახურება*) და გადაეცემა საკუთრების უფლება. შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მიღებული/მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-სა და ყოველგვარი ფასდათმობის გარეშე.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება „დროის პროპორციულობის“ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ასახვა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის ადრე არსებული. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორმით. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს.

დღგ

კომპანია გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შვებულებებს, ბიულეტენებს და არაფულად სარგებლებს კომპანია ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო (ან მსგავსი პროგრამის) ვალდებულება.

არაარსებითობის გამო კომპანიის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების ასახვა/აღრიცხვა.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების ვალდებულებად აღრიცხვა ხდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადებისა და დამტკიცების შესაბამის პერიოდში.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა ნაგებობები	მოწყობილობა -დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
'000 ლარი						
<i>ღირებულება</i>						
ნაშთი 1 იანვარი 2018	5	166	49	59	15	296
დამატებები	55	526	3	7	1	591
გასვლები	-	-	-	(3)	(0)	(3)
გადაჯგუფება						-
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	61	692	52	63	16	884
ნაშთი 1 იანვარი 2019	61	692	52	63	16	884
დამატებები		328	298	1		627
გასვლები						-
გადაჯგუფება						-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	61	1,020	350	64	16	1,511
<i>ცვეთა და ამორტიზაცია</i>						
ნაშთი 1 იანვარი 2018	-	17	16	21	6	61
წლის დარიცხული ცვეთა	-	15	3	4	1	24
გასვლები	-	-	-	(3)	(0)	(3)
გადაჯგუფება						-
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	-	33	20	23	7	82
ნაშთი 1 იანვარი 2019	-	33	20	23	7	82

წლის დარიცხული ცვეთა	28	15	5	1	49
გასვლები					-
გადაჯგუფება					-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	-	61	35	8	131
საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2018	5	149	33	9	234
31 დეკემბერი 2018	61	660	32	9	802
31 დეკემბერი 2019	61	960	315	8	1,380

2018 წლის 01 იანვრამდე ჯგუფი ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის გაანგარიშებას ახორციელებდა საგადასახადო ნორმების და კლებადი ნაშთის მეთოდის მიხედვით. მსს ფასს-ზე გადასვლასთან დაკავშირებით ჯგუფმა მოახდინა ძირითადი საშუალებების ცვეთის მეთოდის ცვლილება კლებადი ნაშთის მეთოდიდან წრფივ მეთოდზე. 2018 წლის 01 იანვრისთვის აქტივების ღირებულებად აღებული იქნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება.

4. არამატერიალური აქტივები

’000 ლარი	სხვადასხვა არამატერიალური აქტივები
ღირებულება	
ნაშთი 1 იანვარი 2018	-
დამატებები	3.4
გასვლები	
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	3.4
ნაშთი 1 იანვარი 2019	3.4
დამატებები	
გასვლები	
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	3.4
ცვეთა და ამორტიზაცია	
ნაშთი 1 იანვარი 2018	-
წლის დარიცხული ცვეთა	0.4
გასვლები	
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	0.4
ნაშთი 1 იანვარი 2019	0.4
წლის დარიცხული ცვეთა	0.4
გასვლები	
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	0.8
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი 2018	-
31 დეკემბერი 2018	3.0
31 დეკემბერი 2019	2.6

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

'000 ლარი	2019წ. 31 დეკემბერი	2018წ. 31 დეკემბერი	2018წ. 01 იანვარი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	669	4	18
ნაღდი ფული	13	626	274
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:	682	630	293

6. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს **2 ათას ლარს**.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

7. მიღებული სესხები

'000 ლარი	2019წ. 31 დეკემბერი	2018წ. 31 დეკემბერი	2018წ. 01 იანვარი
მოკლევადიანი სესხი (ბანკი)	107	93	94
მოკლევადიანი სესხი (ფიზიკური პირი)	75	64	-
სულ მოკლევადიანი სესხები	182	157	94
გრძელვადიანი სესხი (ბანკი)	528	130	151
გრძელვადიანი სესხი (ფიზიკური პირი)	412	454	
სულ გრძელვადიანი სესხები	940	584	151

8. სხვა საოპერაციო შემოსავალი

'000 ლარი	2019წ. 31 დეკემბერი	2018წ. 31 დეკემბერი
შემოსავალი მომსახურებიდან	118	92
პროვადერის აგენტის საკომისიო	4	5
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	122	97

9. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

თიბისი ბანკში აღებული სესხების უზრუნველსაყოფად ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით არის დატვირთული ჯგუფის უძრავი ქონება.

10. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება

ძირითადი მენეჯმენტი გულისხმობს ჯგუფის დირექტორებს. მენეჯმენტისათვის გაცემული ანაზღაურება, აღნიშნულ თანამდებობაზე სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში, მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასს, ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე დამოკიდებულ პრემიებს და სხვა ხარჯების ანაზღაურებას. მთლიანი ანაზღაურება მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

'000 ლარი	2019 წელი	2018 წელი
ხელფასი და სარგებელი	14	4
სულ ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება	14	4

დაკავშირებული პირისაგან მიღებული სესხი

'000 ლარი	2019წ	2018წ
დაკავშირებული ფიზიკური პირისაგან მიღებული სესხი	-	581

'000 ლარი	2019წ	2018წ
დაკავშირებული ფიზიკური პირისაგან მიღებულ სესხზე დარიცხული და გადახდილი პროცენტი	46	28

დაკავშირებული პირისაგან მიღებული საიჯარო მომსახურება

'000 ლარი	2019წ	2018წ
პერიოდის განმავლობაში დაკავშირებული ფიზიკური პირისაგან მიღებული საიჯარო მომსახურება	12	12

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	2019წ. 31 დეკემბერი	2018წ. 31 დეკემბერი	2018წ. 01 იანვარი
'000 ლარი			
მიღებული სესხი	487	518	-
კრედიტორული დავალიანება	1	1	1

11. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოდან ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). ვირუსის მნიშვნელოვანი გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით მოხდა 2020 წლის იანვრიდან, რის გამოც 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც გაგრძელდა 22 მაისამდე. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები. შეზღუდვების მოხსნა განხორციელდა ეტაპობრივად საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ. ვინაიდან, ჯგუფის ძირითადი სამიანობაა სხვადასხვა საქონლით საცალო ვაჭრობა, შესაბამისად ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვები მის ეკონომიკურ საქმიანობას მნიშვნელოვნად არ შეეხო. ასევე ვირუსის გამო შექმნილ სიტუაციას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის შემოსავლებზე.

2020 წელს შპს „მეორე სავაჭრო ცენტრმა“ (ს/ნ 200114866) შეირჩა მისი შვილობილი კომპანია შპს „რევანში“ (ს/ნ 209452028), რომელშიც ფლობდა 100% წილს.

2020 წელს ჯგუფმა შეიძინა შპს „სილნდი ჰოტელ“-ის (ს/ნ 406156751) 100%-იანი წილი 900 ათას ლარად.

2020 წელს ჯგუფმა შეიძინა ქალაქ თბილისში 61 კვ.მ უძრავი ქონება 92 ათას ლარად.

2020 წელს ჯგუფმა აიღო ბანკის გრძელვადიანი სესხი 70 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.